ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

ია გაბედავა - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ადვოკატი დ. ა. /სიითი № /

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 01.02.2019
საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: № 012/19
საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. ბ.-ის მიმართ /სიითი №/
საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ბ.-ისთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 01 თებერვალს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა დ. ა.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. ბ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2019 წლის 06 მარტს საჩივრის ავტორმა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2018 წელს ეთიკის კომისიამ განიხილა მისი საჩივარი ადვოკატ მ. ბ.-ის წინააღმდეგ, თუმცა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, არ იქნა შეფასებული საჩივარში წარმოდგენილი პრეტენზიები, აგრეთვე, კომისიამ არ გიათვალისწინა ადვოკატ მ. ბ.-

ის მიერ წინასწარი შეცნობით, ცრუ ჩვენებაზე ხელმოწერის მიღება. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ მ. ბ.-ის დანაშაული 2008 წლიდან ატარებს განგრძობად ხასიათს და ის არ არის ხანდაზმული.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, თავდაპირველად, 2008 წელს მის წინააღმდეგ, თავდაპირველად, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ადვოკატ მ. ბ.-ის ინიციატივით, კერძოდ, მან „ა. XX"-ის თავმდჯომარე - თ. ს. შეიყვანა შეცდომაში, იმის თაობაზე, რომ თითქოს, ამხანაგობის კუთვნილი 458 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მიიტაცა ამხანაგობის ყოფილმა წევრმა - დ. ყ.-მ ადვოკატ დ. ა.-სთან თაღლითური გარიგების გზით და „ყალბი აუდიტის" დასკვნის" მეშვეობით. თ. ს.-მ ადვოკატ მ. ბ.-ის რჩევით და დარიგებით მიმართა პროკურატურას დ. ა.-ის წინააღმდეგ. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მ. ბ.-მ თავის კლიენტს - თ. ს.-ს უთხრა, რომ მას ჰქონდა დაზარალებულის სტატუსი პ. ყ.-ს და მისი ადვოკატის დ. ა.-ის დანაშაულებრივი ქმედებების გამო. შესაბამისად, ადვოკატ დ. ა.-ს ბრალს უყენებენ „არარსებულ დანაშაულში", რაშიც დიდი წვლილი ადვოკატ მ. ბ.-ს მიუძღვის.

1.4 ადვოკატმა მ. ბ.-მ ყოფილი კლიენტის - თ. ს.-ის შეცდომაში შეყვანის გზით, განახორციელა დანაშაულებრივი ქმედებები, კერძოდ, მტკიცებულებათა ფალსიფიკაცია; ადვოკატი ზემოქმედებას ახდენდა გამოსაკითხ პირზე, მოწმეზე, დაზარალებულზე, ექსპერტზე. აღნიშნული გარემოებების შესახებ საჩივრის ავტორისთვის ცნობილი გახდა 2019 წლის 25 იანვარს. ადვოკატ მ. ბ.-ის მიერ ცრუ დასმენით, 2008 წელს დაწყებული საქმისწარმოება განახლდა 2015 წელს. 2018 წლის 25 მაისს მოსამართლე ლ. შ.-მა პროკურატურისა და ადვოკატ მ. ბ.-ის დახმარებით, სასჯელის ზომად საჩივრის ავტორს დააკისრა ჯარიმა 15 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც პროკურატურის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში.

1.5 ადვოკატ დ. ა.-ის განმარტებით, 2019 წლის 25 იანვარს გაეცნო საქმის მე-8 ტომს, რომელშიც აღმოაჩინა, რომ ადვოკატმა მ. ბ.-მ ამხანაგობა „მ. X"-ის თავმდჯომარე და ზოგიერთი წევრი მოტყუებით ჩართო დანაშაულებრივ ქმედებებში. პროკურატურის სააპელაციო საჩივრის გასამყარებლად ადვოკატმა მ. ბ.-მ ამხანაგობის წევრების სახელით შეადგინა განცხადებები, მოტყუებით მოაწერინა წევრებს ხელი და წარადგინა სააპელაციო სასამართლოში. აღნიშნული დასტურდება მრავალი წლის წინ ვადაგასული მინდობილობის საფუძველზე.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ მ. ბ.-ის მიერ განხორციელებულ უკანონო ქმედებები დასტურდება „სხდომის ოქმებით, გადაწყვეტილებებით, სააღსრულებო ფურცლით, ამხანაგობის ნაკვეთის უკანონო მტკიცების სქემით". ადვოკატი მ. ბ. „ყოფილი კლიენტების საზიანოდ" ხელს აწერინებს დაზარალებულებს იმაზე, რომ მიტაცებული ნაკვეთის ნაწილი არ წარმოადგენდა ამხანაგობის საკუთრებას.

1.7 დ. ა.-ის განცხადებით, იგი შეხვდა თ. ს.-ს, რომელმაც განუცხადა, რომ მ. ბ.-ის თქმით, დ. ა. იყო ბრალეული მის საქმეში. 2016 წლის 26 მარტს თ. ს.-ის დაკითხვის შედეგად, დადგინდა, რომ მას არ ჰქონდა პრეტენზია დ. ა.-ის მიმართ, ვინაიდან, ის მოქმედებდა როგორც ადვოკატი და მისი ქმედებების შედეგად იგი არ დაზარალებულა. ამის მიუხედავად, ადვოკატმა მ. ბ.-მ თავის კლიენტს მოტყუებით მოაწერინა ხელი გამომძიებლის მიერ გაყალბებულ ოქმზე, რომლის

მიხედვით, თითქოს, მიტაცებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა არა ამხანაგობის, არამედ სახელმწიფოს საკუთრებას, რის საფუძველზეც გამომძიებელმა გააუქმა თ. ს.-ის დაზარალებულად ცნობის თაობაზე დადგენილება.

1.8 საჩივრის ავტორის განცხადებით, საჯარო რეესტრს საერთოდ არ აღუსრულებია მოსამართლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. შესაბამისად, ადვოკატ დ. ა.-ს ბრალს უყენებენ არარსებულ დანაშაულში, რომელშიც უზარმაზარი წვლილი მიუძღვის ადვოკატ მ. ბ.-ს.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადამიანურ ნორმებს სცილდება ადვოკატ მ. ბ.-ის შემდეგი განცხადება - „გთხოვთ, გულით მიუდგეთ ჩვენს მდგომარეობას და მსჯავრდებულების მიმართ, თუ ისინი არ შეთანხმდებიან დაგვბირუნონ მიწის ნაკვეთი, გამოიყენოთ სასჯელის სახით მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა“. ადვოკატ მ. ბ.-ის ქმედებები არაკოლეგიალურია.

1.10 ადვოკატ დ. ა.-ის განცხადებით, საჩივრის განხილვაში ეთიკის კომისიამ უნდა ჩართოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უფლებების დაცვის კომიტეტი, რომლის ხუთი წევრი ესწრებოდა მოსამართლე ლ. შ.-ის სასამართლო პროცესს და რომელიც სათანადოდ შეაფასებს მ. ბ.-ის უკანონო ქმედებებს.

2 ადვოკატ მ. ბ.-ის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა მ. ბ.-მ 2019 წლის 02 მარტს საპროცესო კოლეგიას წარუდგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც, დ. ა.-ის საჩივარი უსაფუძვლოა, ვინაიდან, იგი ეყრდნობა ფაქტების არასწორ ინტერპრეტაციას.

2.2 ადვოკატ მ. ბ.-ის განმარტებით, იგი დაზარალებული ადამიანების კანონიერი ინტერესების შესაბამისად მოქმედებს, ამასთან, განცხადების შს სამინისტროში შეტანის დროს არ იცნობდა ადვოკატ დ. ა.-ს. ამხანაგობის წევრების გადმოცემით, დ. ა.-ს ედავებოდნენ თაღლითური ქმედების ჩადენაში, ვინაიდან მისი მეშვეობით პ. ყ.-მ შეადგინა დოკუმენტები. ამის გამო, ყველა საჩივარში მ. ბ. წერდა დ. ა.-ისა და სხვა პირების დანაშაულებრივ ქმედებებზე. აღნიშნულ საჩივრებს ადვოკატი მ. ბ. ადგენდა მარწმუნებლის დავალებების მიხედვით.

2.3 ადვოკატ მ. ბ.-ის განმარტებით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარეს და მის აქტიურ წევრებს ჰქონდათ პირდაპირი შეხვედრები თბილისის პროკურატურის ხელმძღვანელობასთან და მისი მონაწილეობის გარეშე იღებდნენ გადაწყვეტილებას, ამასთან, ამხანაგობის წევრები კვალიფიციური იურისტები იყვნენ თავმჯდომარის ჩათვლით და მის პირად მოსაზრებებს მათ ვერ მოახვევდა თავს.

2.4 ადვოკატ მ. ბ.-ის განცხადებით, იგი ეთანხმება იმ ფაქტს, რომ წერილობითი განცხადებებით მიუმართავს სააპელაციო სასამართლოსთვის, რაც არ ნიშნავს იმას, რომ ასახული გარემოებები მისი პირადი მოსაზრებებია.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მას არც ერთი დოკუმენტი არ გაუყალბებია. იგი სისხლის სამართლის მიმართულებით ეხმარებოდა მარწმუნებელს, თუმცა არ ჰქონია მინდობილობა. ადვოკატს

მხოლოდ ორდერი ჰქონდა. მარწმუნებელს სამოქალაქო მიმართულებით იცავდა სხვა ადვოკატი. შესაბამისად, უძრავ ქონებაზე ყადაღა თვითონ არ დაუდია, რადგან იგი მის კომპეტენციაში არ შედიოდა.

II სამოტივაციო ნაწილი

3 ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი მ. ბ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/. ადვოკატის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე იგი არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 ადვოკატმა დ. ა.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 01 თებერვალს.

3.4 საჩივარში აღნიშნული ერთი სადავო ქმედება განხორციელდა 2008 წელს, რაც ეხებოდა ადვოკატ მ. ბ.-ის „დანაშაულებრივი ქმედებების" შედეგად, საჩივრის ავტორის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას, რის თაობაზეც ეთიკის კომისიამ 2018 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე #108/18 უკვე იმსჯელა და მიუთითა, რომ საჩივარში მითითებული სავარაუდო დარღვევის თარიღისათვის - 2008 წელს მოქმედებდა „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 2001 წლის 20 ივნისის N976 რედაქცია. აღნიშნული კანონის 32.2 ნაწილითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების (2006 წლის 15 აპრილის რედაქცია) მე-3 მუხლის თანახმად, „ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება თუ გადაცდომის ჩადენის ან აღმოჩენის დღიდან გასულია 3 წელი". შესაბამისად, კომისიამ ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, სადავო ქმედება არ შეაფასა ეთიკური ვალდებულებების დარღვევის ფარგლებში.

3.5 საჩივარში აღნიშნული მეორე სადავო ქმედება ხორციელდება 2015 წლიდან დღემდე. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32.2 პუნქტის თანახმად, „ადვოკატის მიმართ დისციპლინური წარმოება შეწყდება, თუ მის მიერ სადავო ქმედების ჩადენიდან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიისათვის მიმართვამდე გასულია 5 წელი". მოცემულ შემთხვევაში, არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4 შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. ბ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5 სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ მ. ბ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა მ. ბ.-მ ამხანაგობა „მ. X"-ის თავმჯდომარე და ზოგიერთი წევრი მოტყუებით ჩართო დანაშაულებრივ

ქმედებებში. პროკურატურის სააპელაციო საჩივრის გასამყარებლად ადვოკატმა მ. ბ.-მ ამხანაგობის წევრების სახელით შეადგინა განცხადებები, მოტყუებით მოაწერინა წევრებს ხელი და წარადგინა სააპელაციო სასამართლოში; ადვოკატმა მ. ბ.-მ საჩივრის ავტორის მისამართით სასამართლოს წინაშე განაცხადა შემდეგი: „გთხოვთ, გულით მიუდგეთ ჩვენს მდგომარეობას და მსჯავრდებულების მიმართ, თუ ისინი არ შეთანხმდებიან დაგვბირუნონ მიწის ნაკვეთი, გამოიყენოთ სასჯელის სახით მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა“.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ მ. ბ.-ის მიერ შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილი: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას“.

5.3 ადვოკატმა კლიენტის ინტერესების წარმომადგენლობის განხორციელებისას უნდა დაიცვას კოლეგიალობის პრინციპი, რომლის მიზანია ადვოკატებს შორის ნდობის, თანამშრომლობის და პატივისცემის დამკვიდრება. ადვოკატმა არ უნდა დაუშვას კოლეგის მიმართ უხეში და შეურაცხმყოფელი მოქცევა და მის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, მათ შორის წერილობით შედგენილი დოკუმენტები უნდა იყო გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში. ადვოკატმა პროფესიული ღირებულებებისა და კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ უნდა იმოქმედოს და ამავე დროს კოლეგებისადმი ღირსეული დამოკიდებულება და პატივისცემა შეინარჩუნოს, არა მხოლოდ პროფესიული საქმიანობის განხორციელების ეტაპზე, არამედ ზოგადად, პროფესიული თუ ყოფითი ურთიერთობისას. ადვოკატმა პატივი უნდა სცეს თავის საქმიანობას და ყოველდღიური საქმიანობით უნდა იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის.

5.4 განსახილველ შემთხვევაში, ირკვევა, რომ ადვოკატი მ. ბ. წარმოადგენდა საჩივრის ავტორის - ადვოკატ დ. ა.-ის მოწინააღმდეგე მხარის თ. ს.-ის ინტერესებს. საჩივარში წარმოდგენილი პრეტენზიის მიხედვით, ადვოკატი მ. ბ. 2008 წლიდან ახორციელებს „დანაშაულებრივ ქმედებებს“ ადვოკატ დ. ა.-ის წინააღმდეგ. საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ 2008 წელს ადვოკატის მიერ სავარაუდოდ განხორციელებული სადავო ქმედებების თაობაზე იმსჯელა საპროცესო კოლეგიამ 2018 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში (საჩივრის ავტორი ადვოკატი დ. ა. ადვოკატ მ. ბ.-ის წინააღმდეგ) დისციპლინურ საქმეზე #108/18 და მიუთითა, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2. პუნქტისა და (2001 წლის 20 ივნისის N976 რედაქცია) „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების (2006 წლის 15 აპრილის რედაქცია) მე-3 მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, კოლეგია ვერ შეაფასებდა 2008 წელს ადვოკტის მიერ სავარაუდოდ განხორციელებულ ქმედებას.

5.5 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი პრეტენზია, რაც ეხება 2015-16 წლებში განხორციელებულ სადავო ქმედებებს, მათ შორის ადვოკატ მ. ბ.-ის კლიენტის - თ. ს.-ის მოტყუების საფუძველზე „გაყალბებულ ოქმზე“ ხელმოწერის საკითხს და ადვოკატ დ. ა.-ის წინააღმდეგ „არაკანონიერი მოქმედებების“ განხორციელებას - ნამსჯელია ეთიკის კომისიის 2018 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში (საქმე #108/18), აგრეთვე, მოცემულ საჩივარზე თანდართულია ის საქმის მასალები, რომლებიც საჩივრის ავტორმა მანამდე წარადგინა დისციპლინურ საქმეზე 108/18. მოცემულ შემთხვევაში, საპროცესო კოლეგია არსებითად ვერ განიხილავს ადვოკატის მიერ წარდგენილ პრეტენზიებს, თუ იმავე მხარეებს შორის, იმავე საკითხზე არსებობს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება (ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება (შემდგომში „დებულება“), მუხლი 9(ვ)).

5.6 საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, რაც ეხება ადვოკატ მ. ბ.-ის მიერ მისი კლიენტის იძლების წესით დღემდე გარკვეული მოქმედებების განხორციელების საკითხს (იხ. პუნქტი 1.4-1.5) აგრეთვე, იმ გარემოებას, რომ ადვოკატმა მოტყუების და იძულების წესით მოაწერინა ხელი თავის კლიენტს - თ. ს.-ს და ამხანაგობის წევრებს პროკურატურისადმი მიმართულ განცხადებაზე, საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედების თაობაზე პრეტენზია მომდინარეობს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობიდან. მოცემულ შემთხვევაში, კლიენტის მიმართ ეთიკური ვალდებულებების დარღვევის შეფასებისთვის უფლებამოსილ განცხმადებელს წარმოადგენს ადვოკატი მ. ბ.-ის კლიენტი და არა მისი მოწინააღმდეგე მხარე - ადვოკატი დ. ა..

5.7 საპროცესო კოლეგია უფლებამოსილია იმსჯელოს საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, რაც ეხება ადვოკატ მ. ბ.-ის მისამართით ნათქვამ ფრაზას, მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით, დასტურდება, რომ 2018 წლის 08 ოქტომბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს წერილობითი განცხადებით მიმართა ბმა „ა. XX-ის“ თავმდჯომარემ თ. ს.-მ და ამხანაგობის წევრებმა, რომლებიც ხელს აწერენ აღნიშნულ განცხადებას, რაც ეხება პ. ყ.-ს და დ. ა.-ის სისხლის სამართლის საქმეებს, სადაც მითითებულია ზემოაღნიშნული წინადადება: „გთხოვთ, გულით მიუდგეთ ჩვენს მდგომარეობას და მსჯავრდებულების მიმართ, თუ ისინი არ შეთანხმდებიან დაგვბირუნონ მიწის ნაკვეთი, გამოიყენოთ სასჯელის სახით მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა“, მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურდება ის გარემოება, რომ ადვოკატ მ. ბ.-ის მიერაა წერილობით განცხადებაში მითითებული აღნიშნული წინადადება, არამედ დასტურდება რომ მოცემული განაცხადი შედგენილია სხვა პირების მიერ. შესაბამისად, კოლეგია ვერ იმსჯელებს მოცემულ ნაწილში ადვოკატის მიერ კოლეგიალობის პრინციპის დარღვევის თაობაზე, რადგან არ დასტურდება, რომ ადვოკატის მითითებით წარედგინა სასამართლოს წერილობითი განცხადება. ასეც, რომ ყოფილიყო, მოცემული განაცხადი წარმოადგენს მოსაზრებას მსჯავრდებულების მიმართ სასჯელის სახის გამოყენების თაობაზე, რაც ვერ იქნებოდა შეფასებული, როგორც სავარაუდო კოლეგიალობის პრინციპის დარღვევა.

5.8 განსახილველ შემთხვევაში, არ დასტურდება ადვოკატ მ. ბ.-ის მიერ მისი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარის, როგორც ადვოკატის მიმართ კოლეგიალობის პრინციპის სავაუდო დარღვევის ფაქტი.

5.9 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-33-ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპილინურ საქმეზე №012/19 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ მ. ბ.-ის მიმართ /სიითი № /.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კოსტანტინე გელაშვილი

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/

კოლეგიის წევრი: /ია გაბედავა/